

შეზღუდული პასუხისმგებლობის  
საზოგადოება

ლიდერი - 2015

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული  
წლისათვის

2023 წელი

## შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
5. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

## შპს „ლიდერი 2015“ სრული შემოსავლების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

|                                                |   | 31.12.2023 | 31.12.2022 |
|------------------------------------------------|---|------------|------------|
| ამონაგები                                      | 4 | 683 668    | 877 760    |
| სხვა შემოსავლები                               |   | -          | 894        |
| ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში    |   | 99 549     | 28 387     |
| მარაგის შემცნა                                 |   | (99 549)   | (28 387)   |
| დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი       |   | (149 020)  | (120 778)  |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი                   |   | (116 199)  | (52 650)   |
| შემცნილი მომსახურების ხარჯი                    | 5 | (52 395)   | (91 319)   |
| საგადასახადო ხარჯი                             |   | -          | -          |
| სხვა ხარჯი                                     | 6 | (12 155)   | (90 844)   |
| მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან         |   | 254 350    | 494 676    |
| საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი |   | -          | -          |
| ფინანსური ხარჯი                                |   | (131 656)  | (76 561)   |
| მოგება-ზარალი დაბეგვრამდე                      |   | 122 694    | 418 115    |
| მოგების გადასახადი                             |   | -          | -          |
| საანგარიშო პერიოდის წმინდა                     |   | 122 694    | 418 115    |
| მოგება-ზარალი                                  |   | 122 694    | 418 115    |

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



ნუგზარ რიქვაძე

*ნ. რიქვაძე*

გულთამაზე საფარიძე

*გ. საფარიძე*

## შპს ლიდერი-2015 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                                        | 31.12.2023       | 31.12.2022       |
|----------------------------------------|------------------|------------------|
| აქტივები                               |                  |                  |
| გრძელვადიანი აქტივები                  |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                   | 7 2 866 819      | 2 531 818        |
| არამატერიალური აქტივები                | 8 -              | -                |
| სულ გრძელვადიანი აქტივი                | <u>2 866 819</u> | <u>2 531 818</u> |
| მიმდინარე აქტივები                     |                  |                  |
| მარაგი                                 | 9 38 005         | 20094            |
| მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები  | 10 43 734        | 90 482           |
| მიმდინარე სხვა აქტივები                | 264 011          | 209 670          |
| ფულადი სახსრები და ექვივალენტები       | 11 704           | 132              |
| სულ მიმდინარე აქტივები                 | <u>346 454</u>   | <u>320 378</u>   |
| სულ აქტივები                           | <u>3 213 273</u> | <u>2 852 196</u> |
| საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები     |                  |                  |
| საკუთარი კაპიტალი                      |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                     | 1 736 412        | 1 188 802        |
| გაუნაწილებელი მოგება-ზარალი            | 485 430          | 374 074          |
| სულ საკუთარი კაპიტალი                  | <u>2 221 842</u> | <u>1 562 876</u> |
| გრძელვადიანი ვალდებულებები             |                  |                  |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები     | 12 975 049       | 1 175 643        |
| სულ გრძელვადიანი ვალდებულებები         | <u>975 049</u>   | <u>1 175 643</u> |
| მოკლევადიანი ვალდებულებები             |                  |                  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები          | 13 16 382        | 113 677          |
| მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები   | -                | -                |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები         | <u>16 382</u>    | <u>113 677</u>   |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | <u>3 213 273</u> | <u>2 852 196</u> |

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



ნუგზარ რიფვაძე

ნ. რიფვაძე

ბულთამზე საფარიძე

ვ. საფარიძე



## შპს ლიდერი-2015

### საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

|                                             | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება-ზარალი | სულ კაპიტალი |
|---------------------------------------------|-----------------------|--------------------------------|--------------|
| 31.12.2021 წაშთი                            | 1 053 912             | ( 48 412)                      | 1 005 500    |
| საწესდებო კაპიტალის<br>ზრდა/შემცირება (+;-) | 134 890               | -                              | 134 890      |
| მოცემული პერიოდის წმინდა<br>მოგება-ზარალი   | -                     | 414 868                        | 414 868      |
| გაცემული დივიდენდი                          | -                     | -                              | -            |
| 31.12.2022 წაშთი                            | 1 188 802             | 366 456                        | 1 555 258    |
| საწესდებო კაპიტალის<br>ზრდა/შემცირება (+;-) | 547 610               | -                              | 547 610      |
| მოცემული პერიოდის წმინდა<br>მოგება-ზარალი   | -                     | 118 974                        | 118 974      |
| გაცემული დივიდენდი                          | -                     | -                              | -            |
| 31.12.2023 წაშთი                            | 1 736 412             | 485 430                        | 2 221 842    |

დირექტორი

ნუგზარ რიყვამე

მთ. ბუღალტერი

გულთამაზე საფარიძე



6.10.2023

გ.საფ.

# შპს ლიდერი-2015

## ფულადი ნაკადების ანგარიშგება

### 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

|                                                                         | 31.12.2023 | 31.12.2022  |
|-------------------------------------------------------------------------|------------|-------------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან                                |            |             |
| კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები                                     | 857 750    | 979 070     |
| მომწოდებლებზე გადახდილი ფული                                            | (334 910)  | (1 749 370) |
| თანამშრომლებზე გადახდილი ფული                                           | (156 138)  | (88 882)    |
| საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები                               | 366 702    | (859 182)   |
| გადახდილი გადასახდები                                                   | (163 694)  | 684         |
| ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე                      | 203 008    | (858 498)   |
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან                         | 203 008    | (858 498)   |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან                              |            |             |
| კაპიტალის გაზრდა                                                        |            | 134 890     |
| ძირითადი საშუალების შეძენა                                              | (492 332)  | (250 889)   |
| მიღებული/გადახდილი დივიდენდი                                            | 547 610    | 134 890     |
| საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები       | 55 278     | 18 891      |
| ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან                                 |            |             |
| შემოდინება მიღებული სესხებიდან                                          |            | 900 000     |
| სესხის ძირის გადახდა                                                    | (126 278)  | (54 060)    |
| სესხის პროცენტის გადახდა                                                | (131 656)  | (11 703)    |
| სავალუტო გადაფასების შემოსავალი                                         | 13         | 1 482       |
| სავალუტო გადაფასების ხარჯი                                              | 207        | (438)       |
| საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები          | (257 714)  | 835 281     |
| ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება          | 572        | (4 326)     |
| ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის | 132        | 4 458       |
| ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის      | 704        | 132         |

დირექტორი



ნუგზარ რიქვაძე

ბ.იუვაძე



ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და

განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ლიდერი-2015 ს.ნ 448397574, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 19.06.2015 წელს. საწარმოს იურიდიული მისამართია ქ. ბათუმი, ხელვაჩაური, ს. ხედრუ, მე-8 ქ., N8, ხოლო საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. ბათუმი, ხელვაჩაური, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N 136 საწარმო დაფუძნებული და 100% წილის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი: ნუგზარ რიჟვაძე (პ/ნ:61006005255).

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სარიტუალო-საქორწინო სადღესასწაულო მომსახურების მიწოდება, ასევე ქონების იჯარით გაცემა შემოსავლის მიღების მიზნით.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2023 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

### 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით.

საწარმო მიმდინარე წლამდე წარმოადგენდა IV კატეგორიის საწარმოს, შესაბამისად იყენებდა მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტს.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

#### 3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

### 3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

#### სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

#### სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით.

#### სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### 3.3. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

### 3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

|                       |          |
|-----------------------|----------|
| ✓ შენობა ნაგებობები   | - 2 %    |
| ✓ მანქანა დანადგარები | - 10-15% |
| ✓ საოფისე აღჭურვილობა | - 20-30% |



|                             |         |
|-----------------------------|---------|
| ✓ ავეჯი და მოწყობილობები    | -14-20% |
| ✓ სატრანსპორტო საშუალებები  | -10-20% |
| ✓ სხვა ძირითადი საშუალებები | -5-20%  |

### 3.5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

### 3.6. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწინაღობის ღირებულების მეთოდი.

### 3.7. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

### 3.8. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოყენებული უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

### 3.9. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

### 3.10. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

### 4. ამონაგები

(ლარი)

| დასახელება |                                              | 31.12.2023 | 31.12.2022 |
|------------|----------------------------------------------|------------|------------|
| 1          | მიღებული შემოსავალი სარიტუალო მომსახურებიდან |            |            |
|            | საიჯარო შემოსავალი                           | 638,475    | 812,567    |
|            | ჯამი:                                        | 45,193     | 65,193     |
|            |                                              | 683,668    | 877,760    |



## 5. ძირითადი საშუალებები

(ლარი)

|   | შეძენის ღირებულება      | ნაშთი<br>31.12.2023 | შემოსვლა | გასვლა | ნაშთი<br>31.12.2022 |
|---|-------------------------|---------------------|----------|--------|---------------------|
| 1 | მიწა                    | 460,000             | 0        | 0      | 460,000             |
| 2 | შენობები                | 2,467,862           | 349,540  | 0      | 2,118,322           |
| 3 | მანქანა დანადგარები     | 186,080             | 89,257   | 0      | 96,823              |
| 4 | ოფისის აღჭურვილობა      | 53,075              | 1,355    | 0      | 51,720              |
| 5 | ავეჯი და სხვა ინვენტარი | 259,191             | 12,085   | 847    | 247,953             |
|   | ჯამი:                   | 3,426,208           | 452,237  | 847    | 2,974,818           |

|   | ცვეთა                   | ნაშთი<br>31.12.2023 | ცვეთის<br>დარიცხვა | ცვეთის<br>ჩამოწერა | ნაშთი<br>31.12.2022 |
|---|-------------------------|---------------------|--------------------|--------------------|---------------------|
| 1 | შენობები                | 399,556             | 74,978             | 0                  | 324,577             |
| 2 | მანქანა დანადგარები     | 19,171              | 11,819             | 0                  | 7,353               |
| 3 | ოფისის აღჭურვილობა      | 24,562              | 6,227              | 0                  | 18,334              |
| 4 | ავეჯი და სხვა ინვენტარი | 63,852              | 23,175             | 0                  | 56,142              |
|   | ჯამი:                   | 507,141             | 116,199            | 0                  | 406,406             |

|                      |           |  |  |           |
|----------------------|-----------|--|--|-----------|
| საბალანსო ღირებულება | 2,866,819 |  |  | 2,531,629 |
|----------------------|-----------|--|--|-----------|

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

## 6. მარაგი

(ლარი)

|   | დასახელება                          | 31.12.2023 | 31.12.2022 |
|---|-------------------------------------|------------|------------|
| 1 | ნედლეული და მასალები                | -          | -          |
| 2 | დაუმთავრებელი წარმოება              | -          | -          |
| 3 | მზა პროდუქცია                       | -          | -          |
| 4 | სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები | 38,005     | 20,094     |
| 5 | სხვა მოკლევადიანი აქტივები          | 264,012    | 209,670    |



|       |         |         |
|-------|---------|---------|
| ჯამი: | 302,017 | 229,764 |
|-------|---------|---------|

## 7. მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

(ლარი)

| დასახელება             | 31.12.2023 | 31.12.2022 |
|------------------------|------------|------------|
| 1 სავაჭრო მოთხოვნები   | 43,734     | 89,720     |
| 2 მოთხოვნა პერსონალთან | 0          | 762        |
| 3 გადახდილი ავანსები   | 0          | 0          |
| ჯამი:                  | 43,734     | 89,720     |

## 8. ფულადი სახსრები

(ლარი)

| დასახელება               | 31.12.2023 | 31.12.2022 |
|--------------------------|------------|------------|
| 1 ფული საბანკო ანგარიშზე | 704        | 132        |
| 2 ნაღდი ფული სალაროში    | -          | -          |
| ჯამი:                    | 704        | 132        |

## 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

| დასახელება                | 31.12.2023 | 31.12.2022 |
|---------------------------|------------|------------|
| 1 სავაჭრო ვალდებულებები   | 15,632     | 112,927    |
| 2 ვალდებულება პერსონალთან | 750        | 750        |
| 3 საბანკო ვალდებულებები   | 975,049    | 1,175,643  |
| ჯამი:                     | 991,431    | 1,289,320  |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 1 სექტემბერი.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



ნუგზარ რიყვაძე  
გულთამაზე საფარიძე

12